ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3549652

ნომერი: AR1537705

თარიღი : 05.09.2017

გაცემის თარიღი : 19.09.2017

გაცნობის თარიღი : 26.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მეტროსადგურ "ვარკეთილის" მიმდებარედ, (ნაკვეთი N004/020);

დამკვეთი-განმცხადებელი

- იური იაშვილი პ/ნ 01030008160
- თბილისი გლდანი VIII მ/რ კორ. 7 ბ. 74

ორგანიზაცია:

- შპს "დეიდრიმ უნივერსალ საქართველო" კოდი: 404922517

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ ზუსტი საპროექტო ადგილები.

- ორივე ფასადზე სარეკლამო აბრების პროცენტულობა არასწორად გაქვთ დაანგარიშებული. გაითვალისწინეთ, რომ პროცენტულობა უნდა დაიანგარიშოთ ორივე ფასადზე ყველა არსებული სარეკლამო აბრების ჩათვლით. კერძოდ: პირველ ფოტომონტაჟზე კონდენციონეთან ვერტიკალურად განთავსებული სარეკლამო აბრა, ხოლო მეორე ფოტომონტაჟზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ტაბლო. ასევე არსებული სიტუაციის ფოტოსურათი წარმოადგინეთ სამარშრუტო ტაქსის გარეშე, რათა გარკვევით და მთლიანად გამოჩნდეს მის უკან განთავსებული ფართი და სარეკლამო აბრები. გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ "ლომბარდი"-ს ფასადზე კიდევ არის რაიმე სახის სარეკლამო აბრა განთავსებული, სარეკლამო აბრების პროცენტულობა უნდა დაიანგარიშოთ მისი ჩათვლით.

- აქვე გაცნობებთ, რომ პირველ ფოტომონტაჟზე ვიტრინისა და კარის თავზე განთავსებული საპროექტო სარეკლამო აბრა მცირედით გადადის მეორე სართული ფართზე, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ ფართის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ან შემცირდეს სარეკლამო აბრის სიმაღლე და მოეწყოს უშუალოდ თქვენს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.